92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №8 (7131) 15 აპრილი, 2025 წელი

20 აპრილი — იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა

აღდგომა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. აღდგომას წინ უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნების კვირა. ქრისტიანთათვის აღდგომა ზეიმთა ზეიმია— აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. IV საუკუნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანამედროვე სახე. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს. ამდენად, აღდგომა მოძრავი დღესასწაულია და მას წლევანდელ წელს მართლმადიდებელი ქრისტიანობა 20 აპრილს აღნიშნავს.

მართლმადიდებელი ქრისტიანები აღდგომიდან ამაღლებამდე ასე მიესალმებიან ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად აღსდგა!“

ქრისტე აღსდგა მკუდრეთით სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინა ცხოვრების მიმნიჭებელი (3 გზის).

სულთათანა

☞4, 5

9 აპრილი

ჩვენი გოლგოთა და ამაღლება!

☞2

14 აპრილი დედაენის დღე

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!“

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

9 აპრილი—ჩვენი გოლგოთა და ამაღლება!



36 წლის წინ, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა არმიამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მშვიდობიანი მიტინგი ორლესული ნიჩბებით და მომწამვლელი აირით სასტიკად დაარბია, დაიღუპა 21 ადამიანი. ტრაგიკული მოვლენებიდან 2 წლის შემდეგ კი საქართველოს უზენაესმა საბჭომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

თერჯოლის საზოგადოებამ, მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ, მისმა ხელმძღვანელობამ 9 აპრილთან დაკავშირებით ქ.თერჯოლასა და სოფელ ძევრში გვირგვინებით შეამკო 9 აპრილს გარდაცვლილთა სახელობის მემორიალები, სასულიერო პირებმა კი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულთა პატივსაგებად მათი სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს.

მემორიალებთან მუნიციპალიტეტის სკოლების, თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიციები...

მარადიული დიდება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთ!

საგზაო ინფრასტრუქტურა

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მორიგ ჯერზე, ადგილზე, დაათვალიერა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფ. ჩხარი-ზედა ალისუბნის ორი სოფლის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი საავტომობილო გზის პროექტის ფარგლებში ეწყობა არმირებული ბეტონის საფარი. სამუშაოებს ასრულებს შპს „სანდრო“, სამუშაოების ღირებულებაა 263158 ლარი, პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2026 წელს;

საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა ასევე სოფ. 26 მაისში, გიორგაძეების საუბნო გზის მონაკვეთზე. აქაც არმირებული ბეტონის საფარი იგება. სამუშაოებს ასრულებს შპს „მეკა“, სამუშაოების ღირებულებაა 259992 ლარი;

სოფ. გოდოგანში კი მიმდინარეობს საავტომობილო გზის და ასევე საყრდენი კედლების რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ეწყობა არმირებული ბეტონის საფარი. სამუშაოებს ასრულებს შპს „ალპედე“, სამუშაოების ღირებულებაა 224712 ლარი;

მუნიციპალიტეტში, 2025 წელს რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება 26 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 5 383 124 ლარს.

გზების რეაბილიტაციის მონიტორინგზე მუნიციპალიტეტის მერი-მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე -ზვიად ბაზაძესა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ასევე იმყოფებოდა ქ. თერჯოლასა და სოფელ ღვანკითში, სადაც ერთდროულად ორი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაიწყო.

ქ. თერჯოლაში მაცაბერიძეების უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის ფარგლებში ეწყობა არმირებული ბეტონის საფარი. სამუშაოებს ასრულებს შპს „ჯეო როუდ ინვესტი“, სამუშაოების ღირებულება 130074 ლარი;

პარალელურად ასევე მიმდინარეობს ღვანკითი-ტელეფის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ეწყობა არმირებული ბეტონის საფარი. სამუშაოებს ასრულებს შპს „მეკა“, სამუშაოების ღირებულება 263 158 ლარი, პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2026 წელს;

ორივე ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

აღსანიშნაბია, რომ ამ ფონდისა და მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში 11 საგზაო პროექტიდან უკვე დასრულდა 6 საგზაო პროექტი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2025 წლის 2 აპრილს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, თემურ ქოჩიაშვილის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ბადრი ბუცხრიკიძის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, შალვა ჭანკვეტაძის და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გრიგოლ გიორგაძის მიერ წარმოდგენილ საკითხებს.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შეკითხვებს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები, ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერის წარმომადგენელი საკრებულოსა და დეპუტატის ბიუროში, სოსო ჩაფიჩაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომაზე განხილულ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

მწვანე და სუფთა გარემოსათვის

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ვ. კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის ეზოსა და ლ.გოგიაშვილის სახელობის სკვერში, მერიის და საკრებულოს თანამშრომლებმა ერთობლივად დარგეს ფოტინიას, აზალიას, ირმის რქის, ჟასმინის, ტუიას, კალესტემონის, კლემატისის, ლოროპეტალუმის ნერგები. (200 ძირი).

„გამწვანების აქციის მიზანი, გარემოს გალამაზება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. ყველამ უნდა გაითავისოს თავისი წილი პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ. დარგოს ხე, გაამწვანოს ბუნება, მოუფრთხილდნენ ნარგავებს. მწვანე გარემო ეს არის — ჯანმრთელი, სუფთა გარემო ჩვენი და ჩვენი შვილებისათვის“—აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ.

გასწორება

„თერჯოლის“ 2025 წლის 1 აპრილის ნომერში (№7) მერვე გვერდზე დაშვებულია უზუსტობა.

ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა ჩამონათვალში, ცქიფურიშვილი შაკოს შემდეგ უნდა იყოს ქვესათაური „ქვ. სიმონეთის №2 საჯარო სკოლა“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

ჩვენი უსაზღვრო სიყვარული, პატივისცემა და მილოცვა ნუგზარ გამყრელიძეს—90

ელვის სისწრაფით გარბიან წლები, მაინც რა დაუნდობელია, როცა სამომავლო ფიქრები შემოგჯარვია, შენ კი მის მკაცრ კანონს უნდა დაემორჩილო...

90 წელი ისე შემოიპარა ნუგზარ გამყრელიძის ნაყოფიერად და სახელოვნად განვლილ ცხოვრების გზაზე დარწმუნებული ვართ არ სჯერა, და ამასთან, უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინი საკუთარი წვლილისა და ფუნქციის გარეშე ვერ წარმოუდგენია. არც მის კოლეგებს არ გვჯერა... მართალია წელიწადზე მეტია ნამდვილად დამსახურებულ პენსიაზე იმყოფება და მისი სიტყვაკაზმულობა და ნააზრევ-ნაღვაწი დააკლდა ჩვენს გაზეთს, სამაგიეროდ ისევ სასხლავით ხელში დასტრიალებს ლამაზად მოწყობილ ეზო-გარემოსა და სათაყვანებელ ვაზს, გულითა და სიყვარულით ესათუთება და გულში წაუღიღინებს კიდევაც: „ვაზო, შვილივით ნაზარდო“...

დიდხანს, ძალიან დიდხანს გვინდა გაგრძელდეს ეს იდილია, ბატონო ნუგზარ, თქვენს დიდებულ ოჯახში, ხარობდეთ და დღეგრძელობდეთ მეუღლესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან, კეთილმოსურნეებთან ერთად...

თქვენი კოლეგა ჟურნალისტები მივესალმებით და ვისურვებდით თქვენს კეთილდღეობას, თქვენთვის თითოეულ ლამაზად გათენებულ დღეს, თქვენს სიხარულსა და ჯანმრთელობას... და კიდევ ვისურვებდით თქვენს საუკუნოვან იუბილეზე ისევ ისე მხნედ და ვაჟკაცურად ბრძანდებოდეთ, როგორც დღეს,—90 წლის იუბილეზე... თქვენ ნამდვილად გეყოფათ ამის „ვაჟკაცობა“...

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო ნუგზარ, გეხვევით, გვიყვარხართ, ვამაყობთ თქვენით, მადლობას გეტყვით ერთად გატარებული წლებისათვის, ღირსეული ურთიერთობისათვის და ღირსეული კაცობისათვის...

არ მეგულება ვინმე „თერჯოლას“ მკითხველთა შორის კი არა და თერჯოლის მცხოვრებთა შორის ნუგზარ გამყრელიძეს არ იცნობდეს, ან მისი სახელი არ გაეგოს, თუმცა მის 90-ე საიუბილეო წლისთავზე ეს ადამიანი ნამდვილად იმსახურებს თუნდაც ფრაგმენტულად მოვუთხროთ ჩვენს მკითხველებს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ნუგზარ გამყრელიძე 1935 წლის 13 აპრილს დაიბადა თბილისში. მამა კონსტანტინე გამყრელიძე პროფესიით ფინანსისტ-ეკონომისტი, გერმანიასთან ომის დროს სამხედრო პირი, პენსიაზე პოლკოვნიკის ჩინით გასულა, სხვა დროს კი პროფესიის მიხედვით მუშაობდა. დედას, თამარ იშხნელს პედაგოგიური ინსტიტუტი დაუმთავრებია და წლების მანძილზე, თბილისში, ერთ-ერთ საბავშვო ბაღის გამგედ უმუშავნია.

სასკოლო ასაკამდე ნუგზარი თბილისში იზრდებოდა, ხოლო დედის გარდაცვალების შემდეგ მამა ყვარელში გადასულა სამუშაოდ, პატარა ნუგზარის აღზრდა კი თერჯოლაში, დედულეთში, ბებიის მზრუნველობით გაგრძელებულა. ბებია, ფოცინე არჯევანიძე-იშხნელისა, როგორც ბატონი ნუგზარი იხსენებს, იმ დროისათვის უაღრესად განათლებული და წიგნიერი ადამიანი ყოფილა, სწორედ მას და დეიდებს უმადლის გაწეული ამაგისათვის. მათ შეაყვარეს წიგნის კითხვა და ხელი შეუწყვეს მისი ზნეობრივი თვისებებისა და ადამიანური ჩვევების ჩამოყალიბებას.

9 კლასი თერჯოლაში დაამთავრა, სრული კურსი კი ყვარელში. შემდეგ დაასრულა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი... მანამდე სამხედრო-სავალდებულო სამსახური გაიარა: ერთი წელი უკრაინაში დაჰყო, ორი წელი კი უნგრეთში, სადაც საბრძოლო ოპერაციებშიც მოუხდა მონაწილეობა. იგი ჯარიდან არტილერიის კაპიტნის წოდებით დაბრუნდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნუგზარმა საცხოვრებლად თერჯოლა აირჩია, სადაც მარტოსული გამზრდელი ბებო ელოდებოდა, გაწეული ღვაწლის საზღაურად ბოლომდე მასთან დარჩა, გაახარა მეუღლის შერთვით და პირველი შვილთაშვილით...

თერჯოლაში სამუშაოს ძებნა დიდხანს არ დასჭირვებია. ერთხანს ხატვას ასწავლიდა პიონერთა სახლში, პიონერხელმძღვანელის „მოადგილეც“ ყოფილა სკოლაში. შემდეგ, 1965 წელს, გაზეთ „წინსვლაში“ კორექტორად მიუღია მის ყოფილ მასწავლებელს ვალერიან რობაქიძეს. იქიდან მალევე საქმის ერთგული და დისციპლინირებული ახალგაზრდა ჯერ კომკავშირის, ხოლო შემდეგ პარტიის რაიკომში დააწინაურეს, სადაც 20 თუ 23 წელი დაჰყო. ვერ გეტყვით, რომ მზე და მთვარე ამოდიოდა ამ საქმიანობაზე, თუმცა ეს საარსებო წყარო იყო მისთვის.

რაც შეეხება ჟურნალისტურ საქმიანობას, სადაც ჯამში 40-მდე წელი გაატარა ეს მისი სისხლხორცეული საქმე გახლდათ. იყო კორექტორი, განყოფილების გამგე, რედაქტორი, პენსიაზე გასვლამდე კორესპონდენტი, ყველა პოზიციაზე იყო უაღრესად სერიოზული, პასუხისმგებლიანი, ინიციატივიანი და საქმის უზადოდ შემსრულებელი.

პარალელურად იყო ოჯახი...

ნამდვილად დიდია მისი წვლილი მყარი და ულამაზესი ქართული ოჯახის შექმნაში. ბედნიერი შემთხვევაა და აღსანიშნავი, რომ ბატონი ნუგზარის საიუბილეო თარიღი ემთხვევა მისი ოჯახის შექმნის 60 წლის საიუბილეო თარიღს...

სიყვარულის რომანტიკული წლები ლამაზად ჩაიწერა ნუგზარ გამყრელიძისა და ლოლა თორთლაძის ცხოვრებაში. ისინი ვან გოთუამ, ინანიშვილმა და მრავალმა სხვამ გააცნეს ერთმანეთი და გარკვეული დროის შემდეგ მიხვდნენ, რომ მათ ურთიერთობებს წიგნსაცავებში „საინტერესო წიგნების ძებნა“ აღარ აკმაყოფილებდა და მოიფიქრეს ახალი, ერთობლივი გადაწყვეტილება—ერთმანეთისათვის ეჩუქებინათ თავი. ორივე მხრიდან ოჯახები სიხარულით შეხვდნენ მათ გადაწყვეტილებას.

შემდეგ შეეძინათ შვილები: თამარი, ია, ნათია. თითოეულმა ბედნიერება მოუტანა მშობლებს, იყო უამრავი სიხარულიც მათი წარმატებული მოსწავლეობისა და სტუდენტობის გამო: ოქროს მედალი, წითელი დიპლომი... შემდეგ ისიც, რომ თითოეული წარმატებულად ემსახურება საზოგადოებას—თამარი ექიმობით, ია და ნათია ჰუმანიტარული მეცნიერების ფლობის მაღალი დონით, მეცნიერებისა თუ მოსწავლეახალგაზრდობის მსახურებით...

თამარს საკუთარი ოჯახი აქვს და სამსახურთან ერთად სამ შვილსაც ზრდის: მარიამის, ქეთევანისა და სანდროს წარმატებული მომავლის წინაპირობა უკვე გარკვეულად სახეზეა და არაერთ სიხარულს პირდებიან ბედნიერ ბებია-ბაბუას. ნუგზარი და ლოლა ამაყობენ სიძით—დავით ღიბრაძე თავისი წარმომავლობითა და საქმიანობით მათთვის ნამდვილად სასურველი, ძვირფასი და საყვარელი ადამიანია...

დიახ, ნუგზარი შეუდარებელი ოჯახის თავკაციცაა და რაღა თქმა უნდა, ბედნიერია თავისი მონაგარით. ეს ის სასიამოვნო შემთხვევაა, როცა ოჯახის ყველა წევრი დაემსგავსება ხოლმე ერთმანეთს.

იუბილარია ბატონი ნუგზარი, 90 არ არის ცოტა, თუმცა არც ბევრია, სიბერე ახლოსაც ვერ გაეკარება. კვლავ შემართება, ჩვეული აზროვნება, შრომისმოყვარეობა...

საყვარელ საქმესთან, ჟურნალისტობასთან განშორება მისთვის ნამდვილად ვერ იქნებოდა იოლი. „წერის დაწყება ძნელი იყო, როგორც ვატყობ თავის დანებებაც ძნელი იქნებაო“—მითხრა, 80 წლის საიუბილეო ინტერვიუზე.

ჩვენ რედაქციაში ერთად ბევრი წელი გავატარეთ. ჟურნალისტობა ნამდვილად არ არის იოლი საქმე, თუმცა, როცა გიყვარს და წლები გაკავშირებს, არ გეთმობა...

წლების განმავლობაში ქარტეხილებს გაუძლო ჩვენმა გაზეთმა. ბატონი ნუგზარი ერთ-ერთი მათგანია, ვინც ნიჭიერებით, ხედვით, ერუდიციით, ინტელექტით, კალმით, თუნდაც მხრებით ზიდა ჟურნალისტისა თუ ხელმძღვანელის ტვირთი.

მინდა ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ გაზეთს არც ერთ კრიტიკულ მომენტში არ შეუწყვეტია არსებობა, მინიმალური ანაზღაურებისა თუ წლების განმავლობაში, უხელფასობის პირობებში, ერთმანეთის გვერდით დგომით ვძლიერდებოდით და თუ სხვა რაიონებისგან განსხვავებით შევინარჩუნეთ გაზეთი, არ გამოვხურეთ რედაქციის კარები, სადაც რაიონის ისტორია იწერებოდა, ამის ერთ-ერთი მოტივატორი ნამდვილად იყო ნუგზარ გამყრელიძე...

მუდამ საინტერესოდ იკითხებოდა ბატონი ნუგზარის კორესპონდენციები, საუკეთესოდ ფლობდა თითქმის ყველა ჟურნალისტური ჟანრის შექმნის ხელოვნებას, იყო მოვლენის, ამბის თუ ადამიანის არსში წვდომის საჭიროება ყველა შემთხვევაში მისი სარედაქციო მასალები საინტერესოდ იკითხებოდა, ჩინებული მექართულე არაჩვეულებრივად იყენებდა ჩვენს უმდიდრეს ლექსიკას. მიუხედავად ხანგრძლივი ჟურნალისტური საქმიანობისა თემა არასოდეს მოკლებია და არც მისი გაშლის ხერხი და საშუალება, მუდამ იყო მოვლენათა და სიახლეთა ძიების ფერხულში. მისი ჟურნალისტური უბის წიგნაკი მუდამ ივსებოდა და ინახავდა გასაშუქებელ თემათა წყებას...

ადამიანი, მისი ღირსება და სიყვარულის უნარი, აი ამოსავალი და თავი და თავი, რის გამოც ფასეული ხდებოდა და გაზეთის ფურცლებზე ხვდებოდნენ მისი მჭერმეტყველური უნარით და ულამაზესი ფერებით შემკობილ-შელამაზებული, რიგითი მშრომელიდან დაწყებული, აკადემიკოსის ხარისხით დამთავრებული ჩვენი თანამემამულენი. არც ერთი ყალბი და მიკერძოებული ეპითეტი, ყველაფერი აწონილ-დაწონილი და ჭეშმარიტი.

ისედაც არ ყოფილა, რომ ყველა შემთხვევაში საქებარ-სადიდებელთან გვქონდა საქმე... ბატონი ნუგზარის კრიტიკულ ხედვასა და აზროვნებასაც ასეთ შემთხვევაში არ შეეძლო თვალი დაეხუჭა...

დიახ, მისი სტილი იყო საფუძვლიანი განსჯა, თანაზიარობა ჭეშმარიტებასთან. მისი შემოქმედება წმიდა სათავიდან მომდინარე—ზნეობის მკაცრი რიტმით იყო მოთოკილი...

ბატონ ნუგზარს აქვს საკუთარი სამყარო და როგორც სულიერი სიმდიდრით ამაღლებული ყოველი ადამიანი, ამით ბედნიერია. უყვარს ლიტერატურა, ხატავს და წერს არაჩვეულებრივად, ახალგაზრდობაში სპორტსაც მისდევდა. მისაბაძია მისი წესრიგიანობა და უაღრესად პუნქტუალურობა.

მისი მდიდარი არქივი უამრავ საინტერესო მოგონებებსა თუ საკუთარი შემოქმედების ნიმუშებს ინახავს. მის პუბლიკაციებს, ნოველებს, ლექსებს, შარჟებს, კარიკატურებს და კროსვორდებს ნაწილობრივ დროდადრო ეცნობოდა ჩვენი გაზეთის მკითხველი, თუმცა სასურველი იქნებოდა მისი წიგნად გამოცემა.

ბატონ ნუგზარზე დაუსრულებლად გვაქვს მოსაგონარ-დასაწერი. მისი ცხოვრების ყველა საფეხური იყო შთამბეჭდავი და სამაგალითო, ახლაც ასეა. ნახეთ მისი გემოვნებით მორთული და მოვლილი სახლ-კარი თუ ეზო გარემო, დაბრძანდით და ისაუბრეთ მასთან ნებისმიერ საკითხზე. გნებავთ ხელოვნება, სპორტი, მწერლობა, ან თუნდაც სოფლის მეურნეობა, მებოსტნეობა, თუნდაც მევენახეობა აირჩიეთ, ვერ იპოვით უკეთეს მრჩეველ-დამრიგებელს თუ გამოცდილების მქონეს. ერთადერთი, სადაც სიტყვაძუნწია, პოლიტიკაა და მიაჩნია, რომ ამ თემაზე ყველა არ უნდა საუბრობდეს.

აი, სწორედ ასეთი გვიყვარხართ, ბატონო ნუგზარ, გილოცავთ კიდევ ერთხელ იუბილეს, სიყვარულს გიგზავნით ამ სტრიქონებთან ერთად და გვინდა დიდხანს, დიდხანს იყოთ ჯანმრთელი და ბედნიერი.

მზია ცქიფურიშვილი
რედაქციის დავალებით

სულთათანა

მართლმადიდებლური აღდგომის მეორე დღე, მიცვალებულთა მოხსენიების, საფლავთა კურთხევის დღეა. ამ დღეს ვიგონებთ ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს, მეგობრებს და არა მარტო მათ... ვიგონებთ და პატივს მივაგებთ ადამიანებს, ვინც გამორჩეული კვალი დატოვა ცხოვრებაში, ვინც ქვეყნის ერთგული კაციც იყო და მისი მეხოტბეც, ვინც დღემდე მოიტანა ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოება...

* * *

ტრადიციულად, სააღდგომოდ ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი დაგვამახსოვრეს თავიანთი კეთილი საქმეებით, სამშობლოსადმი მსახურებით და რომლებიც არაერთხელ მოხვედრილან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, როგორც წარმატებული პიროვნებები, ახლა კი, მარადიულ სასუფეველში განისვენებენ. არდავიწყება მათ სახელებს...

კუბლაშვილები...
(ძმების გახსენება)

ვერ ნახავთ კუბლაშვილს, თან ღვანკითელს, რომელიც არ მღერის, ან არ უმღერია. ღვანკითში საოჯახო ანსამბლები ადრეთაც იყო.

გამორჩეულია ვაჟა კუბლაშვილი და მისი ოჯახის ყველა წევრი, ცოცხლებიც და გარდაცვლილებიც.

ახლა ხსოვნის დღეებია. გარდაცვალებას თან სდევდა სევდა და წუხილი, მაგრამ გვამშვიდებს სიტყვა—გახსენება, ზნეობრივი ვალის მოხდის ერთ-ერთი საშუალება.

გავიხსენოთ სოფელ ღვანკითის მკვიდრი ვაჟა კუბლაშვილი, მისი მშობლები დედა—პისიტიგაბრიჭიძე, მამა ვალერიან კუბლაშვილი, რომლებიც კარგად მღეროდნენ და შვილებსაც შეაყვარეს სიმღერა, „დაეხმარნენ“ ბუნებრივ ნიჭს.

ძმები: ქუჩიკო (ხვიჩა), ანზორი, რეზო, თამაზი და დიდი ვაჟა

ქუჩიკო (ხვიჩა) პროფესიით ინჟინერი იყო, მუსიკალური მონაცემები საშუალებას აძლევდა ყოფილიყო რაიონში მოქმედი სიმღერის ანსამბლის

წევრი და საოჯახო ანსამბლის გამორჩეული მონაწილე. ანსამბლის ხელმძღვანელი, იუზა კუბლაშვილი მისი მონაწილეობის გარეშე რეპეტიციას არ იწყებდა თურმე. ქუჩიკო, როგორც ოჯახის ყველა წევრი, სიმღერის ტრფიალი იყო. იგი 2018 წელს, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ანზორი კუბლაშვილი—ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული—საგუნდო სადირიჟორო და სოლო სიმღერის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა თერჯოლის სამუსიკო სკოლაში ვოკალის პედაგოგად და ილუსტრატორად, ასევე გოგნის, კვახჭირის, ალისუბნის, თერჯოლის №2 საშუალო სკოლაში პედაგოგად და სიმღერის გუნდის ხელმძღვანელად. მღეროდა თერჯოლის სახალხო ფოლკლორულ ანსამბლ „იმერეთში“.



ანზორი 1985 წელს გარდაიცვალა, 51 წლის ასაკში.

რეზო და **თამაზ კუბლაშვილები**—ტყუპი ძმები, დამთავრებული ჰქონდათ ქუთაისის





მუსიკალური სასწავლებელი საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით, ორივენი მღეროდნენ რაიონის ანსამბლებში და განსაკუთრებით უყვარდათ საოჯახო ანსამბლი. ტყუპები 1946 წელს დაიბადნენ. და ერთ წელს, 2015-ში გარდაიცვალნენ—63 წლის ასაკში.

ოჯახის სიძე

ოჯახის სიძე, ქალბატონი გულთამზეს ღირსეული მეუღლე, ვალერიან ჭოლაძე მუსიკის

ხელოვნებაში ღრმად განსწავლული კაცი იყო, კუბლაშვილების მსგავსად მღეროდა, უკრავდა, დამთავრებული ჰქონდა სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტი, 1995-2021 წლებში ხელმძღვანელობდა თერჯოლის სამუსიკო სკოლას. ამავე სკოლაში მუშაობდა თეორიის და მუსიკის ლიტერატურის პედაგოგად, მღეროდა თერჯოლის ფოლკლორულ ანსამბლ „იმერეთში“. ბატონი ვალერიანი 2021 წელს 64 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თერჯოლის საპატიო მოქალაქე—სიმღერისათვის და შრომისათვის დაბადებული კაცი

ვაჟა ვარლამის ძე კუბლაშვილი, 2025 წლის სექტემბერში, 95 წლის გახდებოდა. ბევრია 95 წელი, მაგრამ ასეთი კაცისათვის 120-იც ალალია. წავიდა ჩვენგან 74 წლის ასაკში და დატოვა დიდი ტკივილი, არა მარტო ოჯახში, თერჯოლაში, არამედ სრულიად საქართველოში, რადგან ბატონი ვაჟა იყო ცნობილი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე და ეს უკანასკნელი იყო წოდება, რომელიც ყველაზე დიდ სიამაყეს ანიჭებდა, საერთოდ თავმდაბალ და უპრეტენზიო კაცს.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. პარალელურად სწავლობდა ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, 1966 წელს დაამთავრა თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია და მიენიჭა საოპერო-საკონცერტო-კამერული მომღერლისა და მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგის კვალიფიკაცია.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქუთაისის დრამატულ თეატრში მომღერლად, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სოლისტ-მომღერლად. 1965 წელს თერჯოლაში სამუსიკო სკოლა გაიხსნა, სკოლის პირველ ხელმძღვანელად ვაჟა კუბლაშვილი დაინიშნა, მუშაობდა 1976 წლამდე, მერე ისევ მუსიკლაური სკოლის დირექტორად და ეს იყო 1990-95 წლებში.

ცნობილ მომღერალს ქუთაისის საოპერო თეატრში შესრულებული აქვს პარტიები: ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“—აბესალომი, „თანდარუხი“, ფალიაშვილის „დაისი“—მალხაზი, „ლატავრა“—გურამი, თაქთაქიშვილის „მინდია“—მინდია. ლაღიძის „ლელა“—ბერდო, დოლიძის „ქეთო და კოტე“—კოტე. მშველიძე „დიდოსტატის მარჯვენა“—არსაკიძე, თორაძე „ჩრდილოეთის პატარძალი“—თავადი ერისთავი, ანდრიაშვილი „კაკო ყაჩაღი“—ზაქრო და მეურმე, კვერნაძე „მედეა“—ორფეოსი, ბალანჩივაძე „დარეჯან ცბიერი“—ნიკო, მასხარა. კერესელიძე „ბაში-აჩუკი“ ბერუჩა.

2004 წელს ვაჟა კუბლაშვილი გარდაიცვალა. 1 წლის შემდეგ ელგუჯა თავბერიძის რედაქტორობით გამოვიდა წიგნი ვაჟა კუბლაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მასში გახსენებულია მისი ბიოგრაფიის შთამბეჭდავი მომენტები, ნაჩვენებია თუ რაოდენ დიდი მომღერალი იყო, ერისკაცი და უბადლო პიროვნება.

ჟურნალი „ხელოვნება“ ქუთაისი, საოპერო თეატრის თბილისში გამართული გასტროლებისადმი მიძღვნილ რეცენზიაში წერდა: „ქუთაისის დიდების არცერთი სეზონი არ შემდგარა „აბესალომის“ გარეშე, შეიქმნა მყარი ტრადიციები, ახალ დადგმაში მონაწილეობენ „ძველებიც“ და „ახლებიც“. ძველთაგან ამჯერად წარმოგვიდგა ვაჟა კუბლაშვილი. პირველი ქუთაისელი აბესალომი. იგი მღერის მშვენიერი ხმით, ხალასი უშუალობით და ამ თვისებებს ინარჩუნებს 60 წლის ასაკშიც“. ეს მცირე ამონარიდია იმ სტატიიდან, რომელიც 1990 წელსაა დაწერილი და რომლის ავტორიც უმკაცრესი კრიტიკოსი ანტონ წულუკიძე გახლდათ.

ბატონი ელგუჯა თავბერიძე, წიგნის „ვაჟა კუბლაშვილი“

ავტორი კი წერს: „გამიგონია, ვაჟა კუბლაშვილი აბესალომს რომ მღეროდა, ხელებს მალავდაო. დაკორძილ, შრომით დაკოჟრილ ხელებს უკან შემოიწყობდა და თავაწეული შეჰღაღადებდა მსმენელს. წრფელად, ლაღი ხმით დაიწყებდა, ნელა მოუმატებდა, წკრიალსა და სილაღეს შეირჩენდა. ხელებს მალავდა, მაგრამ როცა აუცილებელი იყო, როცა მღერით უნდა ეთქვა თხოვნა-მუდარა, გამოეხატა სურვილი განშორებისა, ძნელად დასათმობი დაეთმო, უკან შემოწყობილ ხელებს წინ გაიშვერდა და უფრო დრამატული ხდებოდა ამგვარად გამოხატული სურვილი—შრომით დაღლილ, დაკუნთულ ხელებს სხვა ელფერი ეძლეოდა“.

ეს ნამდვილად ასე იყო. ჩვენც, თერჯოლელებიც, კარგად ვიცნობდით ვაჟა კუბლაშვილს. თუ გვეამაყებოდა, ჩვენ გვეამაყებოდა. დიახ, სწორედ ამბობს ბატონი ელგუჯა. ერთი ამბავი კი ასე იყო: როცა ჩხარში შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი გაიხსნა, სტუმართა შორის იყო და უპირველესი ადგილი ეჭირა, ცნობილ მომღერალს მედეა ამირანაშვილს. მეც და ბევრი სხვა, ინტერესით ვადევნებდით თვალს ქალბატონ მედეას, ვცდილობდით მასთან ახლოს ყოფნას და ისიც, თბილისელ სტუმრებს გარიდებული, ხშირად იყო ჩვენს გვერდით. მან თქვა: დიდია ვაჟა, როგორც მომღერალი და, როგორც მიწის, სოფლის მოყვარული კაცი. როცა მასთან „აბესალომში“ ეთერის პარტია ვიმღერე და წელზე ხელი მომხვია, კაცის ხელი ვიგრძენიო.

ხუთასჯერ ჰქონია ბატონ ვაჟას ნამღერი „აბესალომი“. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს საოცარი და სასიამოვნო ფაქტი ნამდვილია.

სექტემბერში ვაჟა კუბლაშვილის დაბადებიდან 95 წელი, გარდაცვალებიდან 21 წელი სრულდება. ვრცელ მასალას ბატონ ვაჟაზე სექტემბერში შემოგთავაზებთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით
სიკუდილითა სიკუდილისა
დამთრგუნველი და საფლავების
„შინა ცხოვრების მიმნიჭებელი“



სულთათანა

იუზა მარუაშვილი



დაიბადა სკანდეში, ამაყობდა ამით, ისტორიულ სოფელში დავიბადე და სკანდის ციხის ნანგრევებში გავატარე ჩემი ბავშვობაო—ამბობდა. სკოლა დაამთავრა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა ისტორიის ფაკულტეტზე. უყვარდა თავისი სოფლის და ქვეყნის ისტორია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს რაიონის ცენტრალური არქივის გამგედ იმუშავა, მერე რადიომაუწყებლობის რედაქტორად გადაიყვანეს, იქიდან კი გაზეთ „წინსვლაში“ წერილების განყოფილების გამგედ. ერთხანს პარტიულ სამუშაზეც იყო, მაგრამ გული მაინც მშობლიური გაზეთისაკენ მოუწევდა. თავისი შეგნებული ცხოვრება ჟურნალისტურ საქმიანობას მიუძღვნა. წერდა ლაკონურად, გასაგებად, ეფერებოდა თითოეულ სტრიქონს, გულისყურით ეპყრობოდა თითოეულ რესპოდენტს, გამოწვლილვით იკვლევდა მის ბიოგრაფიულ შტრიხებს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი არ გამორჩენოდა პორტრეტის შექმნისას.

უყვარდა მოკლე პოეტური კალამბურების შეთხზვა თანამოკალმეებზე, გაზეთის თითოეულ მუშაკზე. კოლეგიალურიც იყო ურთიერთობაში და მეგობრულიც.

წავიდა და თან დაგვიტოვა მონატრების სევდა, გადავიდა მარადიულ სამყოფელში.

ნათელი და სანთელი შენს ხსოვნას ჩვენო მეგობარო. იძინე მშვიდად, შენი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები შენს გაკვალულ ოჯახურ ტრადიციებს მტკიცედ იცავენ და კვლავაც დაიცავენ.

„თერჯოლა“

გუგული ამირანაშვილი

ამბობენ, როცა ამაგდარი ბიბლიოთეკარი კვდება, მასთან ერთად მთელი ბიბლიოთეკაც ნადგურდებაო, ქალბატონი გუგული ამირანაშვილი მართლაც ცოცხალი ბიბლიოთეკა იყო.

ბრწყინვალე მეხსიერების, განათლების და ნიჭიერების ადამიანს შემთხვევით არ აურჩევია ბიბლიოთეკარობა. ეს მისი გაცნობიერებული არჩევანი იყო. ათეული წლები პირნათლად ემსახურა საბავშვო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელის პოზიციიდან. ყველამ ვიცით, რაშიცაა ახალგაზრდების საიდუმლო... სიახლისკენ ლტოლვა თანამედროვეობის მიღება, ახალგაზრდების საყვარელი და არა მათი ზღვარსგადასული კრიტიკა, მაღალი ემოციური ინტელექტი. ყველაფერი ეს უხვად ჰქონდა მომადლებული ჩვენს ძვირფას კოლეგას, ყველასათვის საყვარელ და პატივსაცემ ქალბატონს.

გუგული ამირანაშვილი მისი თაობის ყველა საუკეთესო თვისებების მატარებელი ადამიანი იყო...

ჩვენ, თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, გვიჭირს მის გარეშე, გვაკლია მისეული ურთიერთობა, მეგობრობა და თანადგომა. მაგრამ მისი ხსოვნა და მისადმი გულწრფელი სიყვარული გვამხნევებს, ხოლო მისი ნაყოფიერი ხანგრძლივი და სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე ცხოვრება სანიმუშოდ გვესახება... არასოდეს დავივიწყებთ ქალბატონო გუგული, თქვენს ამაგს.

უფალმა გაანათლოს თქვენი კეთილშობილებით აღსავსე სული.

თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები

ამირან (ფინო) ალექსიძე

დროს თავისი მიაქვს, მაგრამ ამირან ალექსიძის (პულუზაშვილი) მონატრება და სევდა მისი ნაადრევი გარდაცვალების გამო, წლებმა ვერ გააფერმკრთალა. საუკეთესო მეგობრის, უღალატო, უაღრესად განათლებული და თავის საქმეში ღრმად ჩახედილი კაცის ხსოვნა დღემდე რჩება მისი უახლოესი მეგობრების გულში და ასე იქნება, ვიდრე მისი მეგობრებიდან ერთერთი მაინც იქნება ცოცხალი.

ბევრი მოგონება უკავშირდება ამირანს. ამჟამად არ გავიხსენებთ მის კურიოზებს, ვიტყვით, რომ ამირანს დარჩა დიდი ოჯახი. ოთხი ბიჭი: ბექა, ლაშა, საბა, ლუკა, ამირანის და მისი მშვენიერი მეუღლის მანანა ბრეგვაძის სიამაყე იყო. ბედნიერები იყვნენ, დიდი სიყვარული აკავშირებდათ და ასეთივე თბილ და სიყვარულის გარემოცვაში იზრდებოდნენ ბიჭები, მაგრამ ხანგრძლივ არ გაგრძელდა ეს ბედნიერება. ფინო ადრე გარდაიცვალა, მაშინ, როცა მამის მზრუნველი და ძლიერი ხელი შვილებს ძალიან სჭირდებოდათ. ორივეს ტვირთი მანანამ იკისრა, მძიმე იყო ეს ტვირთი, მაგრამ სასიამოვნო, ოთხი შვილი ეზრდებოდა ოჯახს, ახლობლებს, ქვეყანას და მერე რა ბიჭები. მამის დაბადების, გარდაცვალების დღეს და ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას ოჯახი ჩხარში იკრიბება, პატივს მიაგებენ მამის ხსოვნას, წინაპართა საფლავებს.

ძალიან ახალგაზრდა იყო ქალბატონი მანანა, ლამაზი და მშვენიერი, მეუღლის გარდაცვალებამ დაღი დაასვა მის ცხოვრებას. იგლოვა, შავები არ გაუხდია, შვილებს თავს ევლებოდა და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელსაც არავინ ელოდა. 2010 წელს, მეუღლის გარდაცვალების ორი წლის შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა. მანანა ბრეგვაძე—ახლა დედა ქიონიათ იწოდება, შინდისის თამარწმინდის დედათა მონასტერში ავედრებს უფალს შვილებს, ოჯახს, სრულიად ქართველს.

ოჯახის ცხოვრება ასე წარიმართა: ბექამ, ლაშამ, ლუკამ ოჯახები შექმნეს, საზღვარგარეთ ცხოვრობენ, საბა ჯერ არ არის დაქორწინებული, თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. ძმებმა უმაღლესი განათლება მიიღეს, მამის ნიჭი გამოჰყვათ, მამის პატიოსნება, შრომობენ, კარგად ცხოვრობენ და ამაყობენ, რომ ჰყავდათ ღირსეული მამა და ჰყავთ დედა, რომელიც უფლის მსახურია.

უახლოესი მეგობრები

უფლის მადლი ეფინოს...

ლალი რიჟამაძე

სამი წელი გავიდა, მას შემდეგ, როცა ოჯახმა, ახლობლებმა, თერჯოლის №1 ბაგა-ბაღის თანამშრომლებმა, სამუდამო გზაზე გააცილეს ქალბატონი ლალი რიჟამაძე-მაკარიძისა. გააცილეს გაუსაძლისი ტკივილით, სინანულით და მოუშუშებელი ტკივილით...

იმ დღეებში, როცა ქვეყანაში ავადსახსენებელი „კოვიდ“-პანდემია მძვინვარებდა სიკეთით, პასუხისმგებლობით, თავდადებითა და საკუთარი პროფესიის სიყვარულით გულანთებული ქალბატონი ლალი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც სიცოცხლისათვის იბრძოდა, თუმცა, სამწუხარო რეალობა მაინც დადგა.

ლალი რიჟამაძე საზანოში დაიბადა, 1975 წელს დაამთავრა სკოლა, ხოლო 1978 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი. იმავე წელს მუშაობას იწყებს თერჯოლის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში, ხოლო 1982 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თერჯოლის №1 ბაგა-ბაღში მუშაობდა. პარალელურად ჰქმნის ოჯახს თერჯოლელ ჯუმბერ მაკარიძესთან ერთად, აღზარდა ორი ვაჟი, ეამაყებოდა ხუთი შვილიშვილის ბებიობა.

მშვენიერი, ელეგანტური, დახვეწილი, მხიარული ქალბატონი სიცოცხლითა და სიყვარულით ათბობდა და ელოლიავებოდა თავის უსაყვარლეს ოჯახს, მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, მეგობრებს, თანამშრომლებს. იყო არაჩვეულებრივი აღმზრდელი, პატარებისათვის თავდადებული. უამრავ სიყვარულსა და ბედნიერ წუთებს ჩუქნიდა აღსაზრდელებს და მშობლიური მზრუნველობით ანებივრებდა მათ. ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რომ თითოეული მათგანი, რომლებშიც ქალბატონი ლალი ქვეყნის მომავალს ხედავდა, საუკეთესოდ მომზადებულთათვის დაელოცა გზა სკოლისაკენ.

დაუვიწყარია მის მიერ აღსაზრდელებთან სხვადასხვა თემატიკაზე ჩატარებული პრეზენტაციები. ერთ-ერთ ასეთ აქტივობაზე, ლამის მთელი საქართველოს ისტორია წარმოადგინეს მისმა პატარებმა, 4-5 წლიანთა ჯგუფმა... არა ერთი იყო ასეთი შემთხვევა.

დედასავით სანდო და ერთგული მრჩეველი იყო მშობლებისათვისაც, მასთან საიმედოდ ეგულებოდა თავიანთი პატარები თითოეულს...

საბავშვო ბაგა-ბაღის წარმატებულ პედაგოგს სახალხო განათლების სამინისტროსაგან მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად მინიჭებული ჰქონდა აღმზრდელ-მეთოდისტის წოდება;

„წლის საუკეთესო სკოლამდელი აღმზრდელის“ რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულს მიღებული აქვს საქართველოს განათლების სამინისტროს საპატიო სიგელი. არაერთი სიგელი აქვს მიღებული ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებისათვის.

ლალის წასვლა ზეციურ მარადისობაში უდიდესი, აუნაზღაურებელი დანაკლისია თერჯოლის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივისათვის, რომელთა მწუხარება დღემდე არ განელებულა, ასევე თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მთელი სისტემისათვის.

თავისი საქმის უბადლო პროფესიონალი, უამრავ პატარათა თაობების აღმზრდელი პედაგოგი 45 წელი ემსახურა საყვარელ საქმეს და უდროოდ წასვლით გული ატკინა უამრავ ადამიანს. შუა გზაზე დატოვა აღსაზრდელები...

აღარ ჰყავს ოჯახს არაჩვეულებრივი დედა, ბებია, თანამშრომელი, უღალატო მეგობარი, აღსაზრდელებს და აღმზრდელებს კარგი მასწავლებელი, თერჯოლას—კიდევ ერთი შესანიშნავი მოქალაქე...

მარადიული იყოს ხსენება თქვენი, ქალბატონო ლალი, აღდგომისა და მისი შემდგომი დღეების ბრწყინვალე შვიდეულის მადლმა გააბრწყინოთ თქვენი სამარადისო სასუფეველი.

მზია ცქიფურიშვილი

ნოდარ აბულაძე

წლების განმავლობაში მუშაობდა ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. უაღრესად პასუხისმგებლიანს, ერთგულს, თავისი საქმის მცოდნეს, პატივს სცემდნენ ხელმძღვანელი მუშაკები, მის აზრს ითვალისწინებდნენ და წინადადებებს, რომელიც სოფელს ეხებოდა, დადებითად რეაგირებდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იმ პერიოდში ზაურ ცქიფურიშვილი მუშაობდა (დიდხანს სიცოცხლე გვისურვებია).

შეხმატკბილებულად მუშაობდნენ. ერთხელ პლენუმზე, რაიკომის პირველმა მდივანმა ზაურს საყვედური უთხრა, ყველა დამსწრე მიხვდა, რომ ეს საყვედური მთლად სამართლიანი არ იყო. განაწყენებულმა ზაურმა, პლენუმი დატოვა და ნოდარი, მიუხედავად იმისა, რომ მდივანს არ უხსენებია, ზაურს გაჰყვა. სამარისებური სიჩუმე დადგა დარბაზში, ყველა ზაურს და ნოდარს თანაუგრძნობდა. საბედნიეროდ მათ ქმედებას, რაც მაშინ რისკი იყო, რეაგირება არ მოჰყოლია. პირიქით, მდივანმა ეს ერთსულოვნება მოიწონა და იხუმრა კიდეც.

ნოდარმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა სოფელში, როგორც უნარიანმა ხელმძღვანელმა. თავმდაბალი იყო, მაგრამ, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როგორც „სომიანეთობის“ დღესასწაულის ერთ-ერთი დამაარსებელი და საინიციატივო ჯგუფის წევრი, ამაყობდა და სამართლიანადაც.

ჩვენ ვმეგობრობდით მის მეუღლესთან, ქალბატონ ინეზასთან, ისე ვეპატიჟებოდით ღონისძიებაზე თუ ექსკურსიაზე, ნოდარს არც ვეკითხებოდით.

ნოდარმა და ინეზამ ოთხი შვილი გაზარდეს. თერთმეტი შვილიშვილი, ათი შვილთაშვილია ახლა მათ ფუძეზე.

ნოდარი 2017 წელს გარდაიცვალა, აღარც ინეზაა ცოცხალი, დასანანია, რომ ცოლ-ქმარი ვერ ხარობენ ამ გარემოცვაში. კარგია, რომ ვერ მოესწრნენ შვილის—ავთანდილის გარდაცვალებას. ნათელი და სანთელი მათ ნათელ ხსოვნას.

ჟუჟუნა ცხადაძე

„ვირჩევ პროფესიას“ (ხევისბერი გოჩა სასამართლო პროცესი)

ღია გაკვეთილი—გოგნის საჯარო სკოლა

გოგნის საჯარო სკოლას (დირექტორი ვერა ქოჩიაშვილი), პროექტში „ვირჩევ პროფესიას“ წილად ხვდა „იურისპრუდენცია“. ინტეგრირებული გაკვეთილი ჩატარდა ქართულ ლიტერატურასა და სამოქალაქო განათლებაში (პედაგოგები: ნინო გოგინაშვილი, ანა რობაქიძე), მე-9-10-11 კლასებში.

გაკვეთილის თემა: ხევისბერი გოჩას სასამართლო პროცესი. გაკვეთილის მიზანი: სამოქალაქო განათლებაში—მოსწავლეები გაეცნობიან მართლმსაჯულების სისტემას, მისი მოქმედების წესს, გააანალიზებენ სამართლებლივ სახელმწიფოში დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების აუცილებლობას. კონსტიტუციურ უფლებებს და თავისუფლებებს, მოვალეობებს და პასუხიმგებლობას.

ქართულ ლიტერატურაში—მოსწავლეებს განუვითარდებათ თხრობის უნარი, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება, ხელს შეუწყობს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ჩამოყალიბებას, განუვითარდებათ არგუმენტირებული მსჯელობა, ანალიტიკური აზროვნების, ადეკვატური ლექსიკის, მიმიკის, ინტონაციის უნარები, პრობლემების გაზიარების, სხვადასხვა საკითხებს შორის კავშირების დადგენის, შემოქმედებითი, როლური თამაშების, ორატორობის ჩვევები.

გაკვეთილზე საუბარი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებზე.

იმიტირებული სასამართლო

მოსწავლეებმა მოირგეს მოსამართლის (მარიამ ზურაბიშვილი), ბრალმდებლის (ნინო რობაქიძე), ადვოკატის (თათია კირკიტაძე), მოწმეების (მარიამ ფხალაძე, რიტა არაბიძე), ბრალდებულის (რეზო რობაქიძე) როლები.

სასამართლო სხდომა გახსნილად გამოცხადდა. მოსამართლე მარიამ ზურაბიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ განიხილებოდა საქმე „ხევისბერი გოჩას“ წინააღმდეგ, ბრალდებისა და დაცვის მხარეს მოსთხოვა მტკიცებულებების გაცნობა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. **ბრალდების მხარე, პროკურორი ნინო რობაქიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დაცვის მხარეს. აღნიშნა, რომ ბრალდებულის სკამზე მჯდომი ადამიანი იყო დამნაშავე. ხევისბერ გოჩას ბრალად ედებოდა განზრახ მკვლელობა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით. პროკურორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გარდაცვლილი ონისე და ბრალდებული ხევისბერი გოჩა ოჯახის წევრები იყვნენ. ონისემ შეცდომა დაუშვა, მას არ ეყო ძალა ვნებებთან ბრძოლისა და მისი გაუფრთხილებლობით მრავალი ვაჟკაცი დაიღუპა. ხევისბერმა ჩადენილი დანაშაულის გამო შვილი მოკლა, მთელი თემის წინაშე, მამის გაფრთხილების მიუხედავად ონისემ არ გაითვალისწინა საკუთარი მოვალეობები, ოჯახის, მეგობრის და**

მთელი თემის წინაშე და მისმა საქციელმა თემის დამარცხება გამოიწვია. დაცვის მხარემ ისიც აღნიშნა, რომ დაცვის მხარე გამოძიებას მოუყვებოდა მისეულ ვარიანტს, წარმოადგენდა იმ ფაქტებს, რომლებიც მათთვის იქნებოდა მისაღები.

ბრალდების მხარეს სწამდა, რომ სასამართლო იქნებოდა ობიექტური, მიუკერძოებელი და გამოიტანდა ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ხევისბერი გოჩა ცნობილ იქნებოდა დამნაშავედ.

შემდეგ სიტყვა მიეცა დაცვის მხარეს, ადვოკატი თათია კირკიტაძე მიესალმა სასამართლოს. მან განაცხადა, რომ ბრალდებულის სკამზე უდანაშაულო ადამიანი იჯდა. აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ მის შესავალ სიტყვაში სასამართლოს მოახსენა მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი გარემოებები, დახატა შურისძიებით დაბრმავებული დამნაშავე ადამიანი, რომელიც იმსახურებს სასჯელს, მას კი სურდა დაენახვებინა, რომ ბრალდებული გოჩა იყო უდანაშაულო, მას არ ჩაუდენია განზრახ მკვლელობა. დაცვის მხარემ აღნიშნა ისიც, რომ ხევისბერი გოჩა გამორჩეული ადამიანური თვისებების მატარებელი, ის ცხოვრობდა ხევის საზრუნავით და ხალხის ბედ-იღბალი ებარა. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საკუთარი ხალხისათვის განსაცდელი აერიდებინა. მასში მოვალეობა ყოველთვის იმარჯვებდა მამობრივ გრძნობაზე, კარგად იცოდა, რომ სისუსტის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მამა-შვილს შორის სამართალი დადგა, სამართალი, რომელიც უზენაესი იყო, ონისემ ხევის კანონი დაარღვია, წმინდა ადამიანურმა გრძნობებმა შეიპყრო, ამით მან თანამოძმეებსა და თემს უღალატა, მამას ჰქონდა საპირისპირო რეაქცია შვილის საქციელზე, ასეთ საქციელს შეიძლება ვუწოდოთ აფექტის მდგომარეობა, გარდა ამისა მიზეზი შეიძლება ყოფილიყო გოჩას სულიერი სიმტკიცე და ავტორიტეტით გამოწვეული სინდისის ქეჯნა. ეს ერთადერთი გამოსავალი იყო უბედური შვილისათვის, მან ვერ გაიმეტა შვილი უღირსი სიცოცხლისათვის. იყო ორი მოტივი მკვლელობისა—ონისემ დაარღვია ხელისმომკიდეობის წესი და მისმა საქციელმა შეიწირა თანამებრძოლთა სიცოცხლე.

ადვოკატმა განაცხადა, რომ მოისმენდნენ მოწმეთა ჩვენებებს და ეს ყველაფერი დაგვარწმუნებდა, რომ ბრალდებულის სკამზე მჯდომი ადამიანი იყო უდანაშაულო.

მოსამართლემ დაცვისა და ბრალდების მხარეს სთხოვა მოწმეების წარდგენა. მოწმეები—ძიძიას მეგობარი რიტა არაბიძე, ძიძიას დედა—მარიამ ფხალაძე ამტყუნებდნენ ონისეს და არ თვლიდნენ დამნაშავედ ხევისბერს.

შემდეგ ბრალდების მხარემ მიმართა დამნაშავეს, თუ რატომ არ დაუჯერა თემის თავებს. ხევისბერმა—რეზო რობაქიძემ განაცხადა, რომ ბრალდებულის მხარე მართალი იყო. მას, თემის თავებთან ერთად, უნდა გამოეტანა განაჩენი, მაგრამ გაცეცხლდა, მოძმეთა სისხლი სამართალს ითხოვდა...

მოსამართლემ საბოლოო სიტყვა მისცა ბრალდებისა და დაცვის მხარეს, შემდეგ საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მისცა დამნაშავეს—ხევისბერმა-რეზო რობაქიძემ აღნიშნა, რომ ის იყო ხევის მმართველი, ფიქრობდა, რომ სამართლიანი. მას უყვარდა შვილი, სურდა გაეზარდა სასახელო ვაჟკაცი, პატრიოტი. ეგონა მიზანს მიაღწია, მაგრამ მიხვდა, რომ ცდებოდა, მისი მიზეზით მტერი შემოესიათ, მის გამო ხევის საუკეთესო ვაჟკაცები დაიხოცნენ. განა აზრი ჰქონდა მის ნაზრახ სოცოცხლეს, ონისე ცოცხალი რომ ყოფილიყო, კვლავ მოკლავდა საკუთარი ხელით.

სასამართლო გავიდა გადაწყვეტილების მისაღებად. მოსამართლე მარიამ ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ წინასწარი და სამსჯავრო გამოძიებით, შეკრებილი მასალით, სასამართლომ გამოარკვია, რომ სამართალში მიცემული ხევისბერი არ უარყოფდა მკვლელობის აქტის ჩადენას, მაგრამ თავს არ ცნობდა დამნაშავედ და ამას ორი მიზეზით ხსნიდა. მას, როგორც თემის უფროსს, არ შეეძლო ეპატიებინა პირადი გრძნობებით გატაცება ქვეყნისათვის სახიფათო მომენტში, არ შეეძლო ეპატიებინა ადათწესების შელახვა, არ შეეძლო ამაზე უფრო მსუბუქი განაჩენი გამოეტანა, თუმცა ძალიან განიცდიდა თავისი ხელით შვილის მოკვლას, მკვლელობის შემდეგ განიცდიდა სულიერ მღელვარებას, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის 109 მუხლი გადაკვალიფიცირდეს 111-ე მუხლად, რომელიც ითვალისწინებს მკვლელობას აფექტის მდგომარეობაში. ხევისბერი გოჩა ცნობილ იქნას უდანაშაულოდ და

გათავისუფლდეს სასამართლო დარბაზიდან.

იმიტირებული სასამართლოს შემდეგ გაიმართა დისკუსია, მოსწავლეებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებებზე, კერძოდ სიცოცხლის უფლებაზე, როგორც ფუნდამენტურ და აბსოლიტურ უფლებაზე, რომ არ შეიძლება ამ თანდაყოლილი უფლების თვითნებური აღკვეთა. სიცოცლის უფლება განეკუთვნება ბუნებით უფლებათა რანგს, გარდა საერთაშორისო სამართალში დაშვებული გამონაკლისისა, როცა საომარ მოქმედებებს მოსდევს სიცოცხლის ხელყოფა. ითქვა ისიც, რომ სიცოცხლის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, საქართველოს კონსტიტუციით, სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

როლების განაწილებისას არც ერთ მოსწავლეს არ სურდა თურმე ბრალდების მხარე ყოფილიყო. ყველას სურდა ხევისბერის გამართლება და გაამართლეს კიდეც.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, უფროსმა სპეციალისტმა მაია რობაქიძემ, სპეციალურმა შემფასებელმა კომისიის წევრებმა, სკოლის დირექტორმა მაღალი შეფასება მისცა გაკვეთილს, მართლაც ეს იყო საუკეთესო გაკვეთილი, უნაკლო იმიტირებული სასამართლო. საინტერესო იყო მეათე კლასელ ნინო რობაქიძის ნათქვამი, რომ მან უკვე აირჩია პროფესია, პროექტმა და ამ გაკვეთილმა საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებინა. ნინო იურისტი გახდება.

ჟუჟუნა ცხადაძე

ჩვენი სპორტსკოლის აღსაზრდელების წლის წარმატებული სასტარტო სამი თვე

ჩვენებურმა სპორტსმენებმა კარგი სტარტი აიღეს მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე. მათ ბევრჯერ გაგვახარეს გამარჯვებებით სხვადასხვა რანგის ტურნირებზე, რასაც პერიოდულად ვაცნობდით ჩვენს მკითხველებს...

კარგი იყო საფეხბურთო კლუბ „საპოვნელას“ სტარტი მეხუთე (რეგიონლიგა) ლიგაში, სადაც გუნდმა პირველ ტურში საკუთარ მოედანზე ჭიათურის „მაღაროელი“ 4:0 დაამარცა, შემდეგ კი გასვლით თამაშში 2:1 სძლია ბაღდათის „საირმეს“.

ამჯერად გთავაზობთ ინფორმაციებს იმ შედეგებით, რაც სპორტსკოლის აღსაზრდელებმა მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, 10 აპრილამდე მოიპოვეს.

18-20 იანვარი. ქ. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში—ჭაბუკებში.

ნიკა ბრეგვაძე, 66 კგ. მესამე ადგილი.

29 იანვარი—1 თებერვალი. ქ. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში 2009-2010 წ. დაბადებულთა შორის.

დათო ხუჯაძე, 71 კგ. პირველი ადგილი.

თამარ ზარნაძე, 50 კგ. მეორე ადგილი.

ნათია სვანიძე, 47 კგ. მეორე ადგილი.

ქეთი ბუცხრიკიძე, 70 კგ. მეორე ადგილი.

გიორგი ლომიტაშვილი, 58 კგ. მესამე ადგილი.

1 თებერვალი. ქ. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში 2007-2008 წ. დაბადებულთა შორის.

დიანა ქასრაშვილი, 54 კგ. მეორე ადგილი.

16 თებერვალი. ქ. ფოთი, ფოთის ღია პირველობა კიკ-ბოგსინგში.

ნიკა ჭანტურიძე, 60 კგ. პირველი ადგილი.

რამაზ ბარდაველიძე, 55 კგ. მეორე ადგილი.

გიორგი თარგალაძე, 52 კგ. მეორე ადგილი.

14-15 თებერვალი. ქ. ბაღდათი, მევლუდი ჯიხვაშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ქრისტინე ცინაძე, 38 კგ. მეორე ადგილი.

ნიკოლოზ ტოფაძე, 38 კგ. მესამე ადგილი.

14-18 თებერვალი. ქ. ქუთაისი, ჯემალ კოსტავას და ილია ბობოხიძის ხსოვნის ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

ლუკა მაჭავარიანი, 35 კგ. მეორე ადგილი.

რეზო ამბროლაძე, 57 კგ. მესამე ადგილი.

გიორგი ნიკოლაძე, 38 კგ. მესამე ადგილი.

ანდრია გორდულაძე, მძიმე +85 კგ. მესამე ადგილი.

26-28 თებერვალი. ქ. ბათუმი, გელა ჯანელიძის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

გოჩა ნიკოლაძე, 35 კგ. მესამე ადგილი.

19-20 მარტი. ქ. ხაშური, დავით დათიაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

საბა სულამანიძე, 58 კგ. პირველი ადგილი.

რეზო ხაჭაპურიძე, 24 კგ. პირველი ადგილი.

ზურა ბოჭორიშვილი, 38 კგ. მეორე ადგილი.

საბა ხუჯაძე, 27 კგ. მეორე ადგილი.

დათო ლომიტაშვილი, 42 კგ. მეორე ადგილი.

იოსებ კუბლაშვილი, 88 კგ. მესამე ადგილი.

სანდრო ობოლაძე, 70 კგ. მესამე ადგილი.

საბა ცხელიშვილი, 53 კგ. მესამე ადგილი.

ნიკა ცხელიშვილი, 46 კგ. მესამე ადგილი.

სერგო ლილუაშვილი, 73 კგ. მესამე ადგილი.

13-17 მარტი. საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობაში 8-10, 12 წლამდელთა შორის პირველი ლიგა.

ბარბარე მაკარიძე—მესამე ადგილი.

გეგა გაბრიჭიძე—ორივე მოჭადრაკემ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის საგზური.

23 მარტი. ქალაქი კასპი, კასპის ღია პირველობა კარატეში.

გოჩა ჩაფიძე, 65 კგ. პირველი ადგილი.

გიორგი რობაქიძე, +65 კგ. მეორე ადგილი.

სანდრო ფანჩულიძე, 40 კგ. მესამე ადგილი.

20-23 მარტი. ქალაქი გორი. საქართველოს პირველობა ბ/რ ჭიდაობაში.

ლუკა ბუიღლიშვილი, 80 კგ. მესამე ადგილი.

გიგა ჭეიშვილი, 80 კგ. მესამე ადგილი.

29-30 მარტი. ქ. ქუთაისი, საერთაშორისო ჩემპიონატი კარატეში.

გოჩა ჩაფიძე. 65 კგ. პირველი ადგილი.

ელენე გურაბანიძე. 56 კგ. პირველი ადგილი.

გუნდები მოამზადეს: ლერი რობაქიძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, მალხაზ თურქაძემ, ონისე ბოჭორიშვილმა, ზურაბ გავაშელაშვილმა, გიგა ჩაფიძემ, დიმიტრი გურგენიძემ, მერი ჩაფიჩაძემ, ნოდარ გიორგაძემ, თამარ ხოჯაშვილმა, ირაკლი ღონღაძემ.

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი

ცნობისათვის: დავით ხუჯაძე, 25 აპრილს კვიპროსში ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ნიკა ბრეგვაძე კი 12-13 აპრილს ევროპის თასზე იბრძოლებს ძიუდოში.

ჩვენი სპორტსკოლის აღსაზრდელებს უდავოდ კარგი წლის პირველი სამი თვე ჰქონდათ... ვულოცავთ მათ მწვრთნელეთან და გულშემატკივრებთან ერთად.

გვჯერა, რომ თქვენ წინ დიდი წარმატებებით ივლით!

ჭადრაკი

ქ. ზესტაფონში გაიმართა მოსწავლეთა ღია ტურნირი ჭადრაკში, სადაც წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა.

10 წლამდე გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ტაისია ტყავაძემ (კერძო სკოლა „მზეკაბანი“). 14 წლამდე გოგონათა შორის კი პირველობა არავის დაუთმო და ოქროს მედალს დაეუფლა ნინი წივწივაძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა).

ვულოცავთ ჩვენს მოჭადრაკეებს და მათ მწვრთნელს, ეროვნული ოსტატობის კანდიდატს გია ჭუმბურიძეს მორიგ წარმატებას და ვუსურვებთ მაღალი საჭადრაკო მწვერვალების დაპყრობას...

„თერჯოლა“

ეს ჩვენი ისტორიაა

„თერჯოლის“ 1 აპრილის ნომერში მკითხველს ჩვენ შევთავაზეთ წერილი „პილიგრიმი—წმინდა ადგილებში სალოცავად მიმავალი“, სადაც დეკანოზი დავითი (ჭანტურიძე) მოგვითხრობს წმინდა ათონის მთაზე სასულიერო პირთა ერთი ჯგუფის მოგზაურობის შესახებ.

ცნობისათვის: მომავალი ნომრიდან ამ სათაურით, ტყიბული-თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე გიორგის ლოცვა-კურთხევით, რუბრიკით „თერჯოლის სალოცავები“ ვიწყებთ ინფორმაციების გამოქვეყნებას ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკლესია-მონასტრების შესახებ. პირველად გამოვაქვეყნებთ მასალებს „გოგნის კარუგდებლის“ თაობაზე.

ბაჩკოვო
ბულგარეთში არსებული ქართული კერა—პეტრიწონის (XI ს) მონასტერი

ტყიბულისა და თერჯოლის მაღალ ყოვლადუსმღვდელოესი მიტროპოლიტ გიორგის (შალამბერიძე) ლოცვა-კურთხევით 2024 წლის 14 სექტემბერს, ბულგარეთში გავემგზავრეთ ბატონი ვალენტინ მიტევი, ქალბატონი სოფია მიტევა-გოდუაძე და ბერ-დიაკონი მაკარი ჯამასპაშვილი.

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტ გიორგისა და გამორჩეულ ქართულ-ბულგარულ ოჯახს, რომელთაც დიდი სურვილი გააჩნიათ XI საუკუნეში დაწყებული სულიერი კავშირის განახლებისა და გაცოცხლებისა, რომელიც არსებობდა პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერსა და საქართველოს შორის. ეს ცნობილი მონასტერი, რომელიც საქართველოში „პეტრიწონის“, ხოლო ბულგარეთში „ბაჩკოვოს“ მონასტრის სახელითაა ცნობილი.

პეტრიწონის მონასტერი (ბაჩკოვოს მონასტერი) – (ინგლ. Petritsoni Monastery), გახლავთ შუა საუკუნეების ქართული მონასტერი, რომელიც იყო კულტურულ-საგანმანათლებლო კერა ბიზანტიის იმპერიაში. („პეტრა“ ბერძნულად ნიშნავს - კლდეს, რაც მონასტრის ადგილმდებარეობის სახელწოდებიდან მომდინარეობს, (თავდაპირველად) პეტრას სახელით იყო ცნობილი ადგილი, სადაც აშენებულია მონასტერი). მონასტერი 1083 წელს დააარსა მხედარმთავარმა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ, რომელიც ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო მეთაური იყო ბიზანტიის კარზე. მანვე შეუდგინა მონასტერს ტიპიკონი ქართულ და ბერძნულ ენებზე. აღნიშნული ხელნაწერი ამჟამად ინახება საბრძნეთში მდებარე კუნძულ ქიოსზე. ბაჩკოვოს მონასტრის არქიტექტურა გამოირჩევა საერთო რწმენით დაკავშირებული ბიზანტიური, ქართული და ბულგარული კულტურების უნიკალური კომბინაციით.

პეტრიწონის სავანეში იყო სასწავლებელი-სემინარია, რომელიც ამზადებდა ქართველებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. გავრცელებული აზრით, სემინარიას ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა იოანე პეტრიწი, რომლის ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ კიდევ უფრო დაუახლოვა ქართული მწერლობა ბიზანტიურს; დოგმატიკურ-ფილოსოფიური წიგნების თარგმნითა და კომენტარით ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებას. მონასტერს მრავალგზის დასხმიან თავს თურქი მებრძოლები. გაუძარცვავთ და გაუნადგურებიათ თუკი რაიმე სიწმინდე იყო მონასტერში. მონასტრის მთავარი ტაძარი ორგზისაა აღდგენილი, ჯერ XIV საუკუნეში, შემდგომ კი XVII – XVIII საუკუნეში.

დღევანდელი მდგომარეობით პეტრიწონის მონასტრის კომპლექსში შედის „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების“ სახელობის ტაძარი, რომელიც მონასტრის მთავარი ტაძარია და მოიხსენიებენ როგორც - „კათოლიკონი“; წმ. იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები და რამდენიმე სახელობითი მცირე ზომის პატარა ტაძარი.

ბაჩკოვოში მწყემსმა ბიჭმა, (შემდგომ აღიკვეცა და მონასტრის წინამძღვრად იქნა დადგინებული), XVI-XVII საუკუნეში აღმოაჩინა გამოქვაბული, სადაც თურქთა შემოსევების გამო ბერების მიერ გადამალულ ღვთისმშობლის ხატს მიაგნო. პეტრიწონის სამონასტრო კომპლექსში არსებობს აგრეთვე ძველი და ახალი სანათლავი სახელწოდებით „შეუსმელი ბარძიმი“; „კოსტნიცაში“, იგივე „სამარხში“ მდებარეობს წმ. მოციქული იოანე ღვთისმეტყველისა და მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრები. გარდა მამათა მონასტრისა, პეტრიწონის მონასტრის დაქვემდებარებაშია ასევე დედათა მონასტერი. გადმოცემის თანახმად, გრიგოლმა მონასტერი აუშენა თავის დებსა და დედას.

პეტრიწონის მონასტერი თავისი მნიშვნელობით ბულგარეთში მეორეა რილის (წმ. იოანე რილელის სახელობის) მონასტრის შემდგომ. მონასტერი სტავროპიგიალურია - პირდაპირ დაქვემდებარებაშია საპატრიარქოსთან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგები, მშობლები და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის მასწავლებელს, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს მარეხ ლიკლიკაძეს მამის

თამაზ (თემურ) ლიკლიკაძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სოფიკო და ზვიად ფორჩხიძეებს მამის და სიმამრის

გიზო მოსელიძის

გარდაცვალების გამო.

„თუ ჩემი ხელის გაწვდენაზე არ მეგულები“... „სიყვარულია ის, რაც სიყვარულს აღემატება“...

ქალი და სიყვარული, ეს ორი ერთმანეთზე სასიამოვნოდ გადაწნულ-გადახლართული მოვლენა იყო თემა იმ უაღრესად სასიამოვნო და საინტერესო ღონისძიებისა, რომელიც გაზაფხულის პირველი თვის ბოლო დღეებში გაიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელების მონაწილეობით, მათსავე სააქტო დარბაზში.

დამეთანხმება მკითხველი ალბათ, რომ ცენტრის მიერ წარმოდგენილი თითოეული აქტივობა ტრადიციულად, მაღალი დონისაა, თავისი შინაარსით, აქტუალობით და ისე ლამაზად იკვლევს გზას მაყურებელთა გულებთან და გემოვნებასთან, რომ აქ ჩატარებული თითოეული ღონისძიება ნამდვილად არის ხელოვნების ზეიმი. ასე იყო სწორედ იმ დღესაც.

სცენა, დეკორაციები, განათება, მუსიკა, მოსაწვევი ბარათიც კი, ყველა და ყველაფერი გემოვნებით და მიზნობრივად შერჩეული, და მთავარი, მონაწილე ულამაზესი გოგო-ბიჭები, თავიანთი სასცენო კოსტიუმებით, თითოეული მონოლოგით, ფრაზით თუ მოძრაობით...

„ლიტერატურული შუადღე“, ასე ერქვა ღონისძიებას, თუმცა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ლიტერატურული.

მონაწილე დეკლამატორები ისე შთამბეჭდავად და მხატვრულად გადმოსცემენ ჩვენთვის ნაცნობი თუ უცნობი ლექსების სტრიქონებს, თითქოს ეს ყველაფერი პირველად გვესმის და ყურთასმენას ვაძლიერებთ არაფერი გამოვტოვოთ, მაქსიმალურად დავიჭიროთ თითოეული ფრაზა...

ქალს, დედას ადიდებდნენ უხსოვარი დროიდან, რადგან მას უდიდესი საღმრთო ფუნქცია აკისრია, იგია სიცოცხლის მარადიულობის შეუცვლელი შემოქმედიც... „ოდითგანვე ქალი იყო ოცნებების სათავე და მის წარმტაც სილამაზეს ფრესკად გამოსახავდნენ...

ქალი სიყვარულია... და რა არის სიყვარული?“

სცენაზე ხელჩაკიდებული ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟები სოსოია და ხატია შემოდიან. მათი დიალოგია მინიშნება იმისა, როგორ იბადება პირველი სიყვარული...

„სიყვარული?... „ხან ისე ახლოს ხარ, ჩემი გულისცემა უკვე შენი გულისცემის ექოა, ხან ისე შორს, ჩემი გულისცემა წყდება საერთოდ, ჩემთვის წყდება...

ხან ისე ახლოს ხარ, ერთი ჩრდილი ყოფნის ორ სხეულს...

ხანაც შორს ისე-ჩემი მზერის ჩრდილიც ვერ გწვდება...

სიყვარული სულ შორი-ახლოა, ასეც უნდა იყოს სიყვარული...

ასე უფრო სიყვარულია...“

ისევ ქალზე, დედაზე, სიყვარულზე შექმნილი მრავლისმთქმელი ლამაზად წაკითხული ლექსები, ულამაზესი მუსიკის ფონზე...

ღონისძიებას განსაკუთრებულ ხიბლს მატებს გამორჩეული მუსიკალური ნომერი, იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებიდან „იავნანამ რა ჰქმნა“. სცენაზეა გამორჩეული საოპერო მომღერალი ნათია მოსიაშვილი. „იავნანა“ ულამაზეს ჰანგად იღვრება დარბაზში და მაყურებელთა გულისცემაც მატულობს. მასთან ერთადაა ქეთოს როლის შემსრულებელი ნუცა ოქრუაძე...

კიდევ ერთი ინსცენირება... მოხუცი ცოლ-ქმარი ბეგლარი და ეკატერინე (ბარბარე კუტივაძე, ლუკა ჩანთაძე) ერთმანეთს აქამდე გაუმხელელ პირველი შეხვედრისა და გაცნობის შთაბეჭდილებებს დეტალებში ჰყვებიან, ერთმანეთს ახსენებენ წარსულში შემოჯარულ გრძნობებს და შემდეგ კი მოგონებათა ბურუსში გახვეულნი ერთმანეთს მიყრდნობილნი ჩუმად სხედან, ძნელი გამოსაცნობია სთვლემენ თუ გაქვავებულან...

„სიყვარული დახუჭობანაა, ხან შენ იხუჭები და მე გავდივარ, ოღონდ არ მეძებ... ხან მე ვიხუჭები და შენ გადიხარ... როცა მოგვინდება ორივე ვიპოვით ერთმანეთს, თუნდაც მზერა ჩავიბრუნოთ და დღე დაღამდეს... სხვანაირად სიყვარული ვერ გაძლებს... ხანდახან ერთმანეთი უნდა დავკარგოთ და არ ვეძებოთ, ხანდახან ერთმანეთი უნდა გამოვტოვოთ და არ ვიყვიროთ: „გამარჯვებულო სად ხარ, გამარჯვებულო გამოდი...

ძახილი არ სჭირდება სიყვარულს, არც გამარჯვებული სჭირდება.

ამიტომ ხან შენ იხუჭები და მე გავდივარ, ხან მე ვიხუჭები და შენ გადიხარ“...

სცენას ახლა ტანგოს მოცეკვავეები ნანო თორთლაძე და გიორგი ჯიხვაშვილი იკავებენ, ულამაზესი შესრულება გულგრილს არ ტოვებს მაყურებლებს.

ფინალისაკენ სცენას კვლავ გოგო-ბიჭები იკავებენ:

„თუკი ამქვეყნად ღმერთს ადამიანისათვის რაიმე ნიჭი მიუცია, ეს უპირველესად სიყვარულის ნიჭია და ცოდვაა ის კაცი, რომელიც სიყვარულის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან...

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის რტო არ კრთება უსიყვარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ...

კაცობრიობა დასაწყისიდან დღემდე მსჯელობს და ვერ გვაძლევს პასუხს კითხვაზე: რა არის სიყვარული“...

ცხადია ამ პატარა საღამოს არ ძალუძს ეს თემა ამოწუროს... ეს არცაა ჩვენი მიზანი.

ეს საღამო ქალბატონებისაა.

ამიტომ ჩვენი თემაც თქვენს გარშემო ბრუნავს და თქვენ გეფერებით, ჩვენო მშვენიერო ქალბატონებო...

თქვენ ხართ სიცოცხლის საწყისი და გამგრძელებლები...

სამყაროს დედა ქალია, მშობელი უფლისა...

სადაც ქალია, იქ სიყვარულია, უკიდეგანო, უსაზღვრო უპირობო, დედამიწას სიყვარული ატრიალებს...

სიყვარულისთვის კი ღირდა ამქვეყნად შემოხეტება, ისევ და ისევ სიყვარულია ის, რაც სიყვარულს აღემატება.

გილოცავთ დღესასწაულს.

სიყვარული კი დარჩეს სასურველ, აუხსნელ გამოცანად.

ისე როგორც ქალი...

ჩვენ კი ვიტყვით...

„თუ ჩემი ხელის გაწვდენაზე არ მეგულები...

თუ ჩემი თვალის გაწვდენაზე ველარ გიპოვე—

ჩემი ფიქრების გაწვდენაზე მაინც იქნები...“

ლამაზი მუსიკის, კინოფილმიდან „ჩიორა“, ფონზე სცენაზე მოულოდნელად ველოსიპედით მოსეირნე უსაყვარლესი ბიჭი და გოგო (ნიკა ხოშტარია, ნუცა ოქრუაძე), შემოდის და თან მოაქვთ სითბო, ღიმილი, გაზაფხული, ყვავილებით სავსე კალათები, ირგვლივ სიყვარული იღვრება...

ემოციურია ფინალი...

ნორჩი გოგო-ბიჭები დარბაზში მყოფ მოწვეულ ქალბატონებს ყვავილებს გადასცემენ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი ნინო ოქრუაძე მიესალმება და ულოცავს სტუმრებს, მადლობას უხდის ცენტრის პედაგოგებს და აღსაზრდელებს ულამაზესი საღამოსათვის.

სტუმრების სახელით კი ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ექსპრომტად დაწერილი ლექსით მადლობა გადაუხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან ერთად დაესწრო.

ღონისძიების სცენარი და რეჟისურა ეკუთვნის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის პედაგოგს რუსუდან კოვზირიძეს, მონაწილეობდნენ ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის წევრები: ლიზი ჩუბინიძე, თეკლა მაკარიძე, გოჩა ლილუაშვილი, გიორგი ჯიხვაშვილი, მარიამ ბერუაშვილი, ნანო თორთლაძე, ნინო რობაქიძე, თიკა კოვზირიძე, ბარბარე ნიკოლაძე, მათე გიორგაძე, გიორგი კვანტიძე, ლუკა ჩანთაძე, თეკლა გაბეხაძე, ნინი მაჩიტიძე, გიორგი ჩუბინიძე, რუსკა კუპაშვილი, ელენე გურაბანიძე, საბა გეწაძე, თეკლა ბუსკივაძე, ნიკა გურული, ბარბარე კუტივაძე, ელენე აბულაძე...

სტუმარ ქალბატონებს ყვავილები გადასცეს: ლილე კირკიტაძემ და გეგა რობაქიძემ, მარიამ ქურციკიძემ და გიორგი ქოჩიაშვილმა, ნუცა ოქრუაძემ და ნიკა ხოშტარიამ...

ღონისძიება მომზადდა მოსწავლე-აალგაზრდობის ცენტრის პედაგოგთა ერთობლივი ძალისხმევით და მონაწილეობით.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872